



საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№27 2021 წლის 12 თებერვალი ქ. თბილისი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულ წევრთა
დანიშვნის შესახებ

1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 2¹ და 2² პუნქტების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) მოწვეულ წევრებად დაინიშნონ:

გიორგი ჩილინგარაშვილი – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი;

ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;

ივანე აბიათარი – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, დეპარტამენტის/სკოლის – „მედიცინის სკოლა“

ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნინო ოკრიბელაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;

მაია ბიწკინაშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

თამარ ვალიშვილი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;

ბიძინა კულუმბეგოვი – ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;

ზაზა ავალიანი – შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

მარინე გელანტია – შპს „აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

მაია ზალდასტანიშვილი – სს „ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ ინფექციური საავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროსი, ექიმი-ინფექციონისტი;

ნინო შარიქაძე – შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;

დავით კობეშვიძე - შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი;

ლევან რატიანი – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

გივი ჯავაშვილი – საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ივანე ჩხაიძე – კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

ხათუნა ზალდასტანიშვილი – სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

შორენა წიკლაური – შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასისტენტ-პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;

ნათია სხვიტარიძე – სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში.

2. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 10 მარტიდან.

გიორგი გახარია

